სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080167158054515

 # 1078

24 / ნოემბერი / **2015** წ.

კასპის მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2015 წლის 18 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა კასპის მუნიციპალიტეტის SMP150000345 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს სამშენებლო მასალების შესყიდვას (CPV44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები).

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვა გამოწვეულია გადაუდებელი აუცილებლობით, რადგან 2015 წლის 12 ნოემბერს კასპის მუნიციპალიტეტში მოსული ძლიერი წვიმისა და ქარის შედეგად დაზიანდა საცხოვრებელი სახლების სახურავები, კედლები და ტიხრები.

ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებითვე, აღნიშნული მდგომარეობა განაპირობებული იყო მოულოდნელი სტიქიის მიერ და შესაბამისად, მოცემული ვითარების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იქნებოდა.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2015 წლის 12 ნოემბერს კასპის მუნიციპალიტეტში მოსული ძლიერი წვიმისა და ქარის შედეგად დაზიანდა საცხოვრებელი სახლები და განმეორებითი ატმოსფერული ნალექების შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა. ამასთან, მოცემული ვითარების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო, რადგან აღნიშნული მდგომარეობა განაპირობა მოულოდნელად მოსულმა უხვმა ნალექმა და ძლიერმა ქარმა.

შესაბამისად, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის გზით.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს კასპის მუნიციპალიტეტის SMP150000345 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე